

პროფესიული საგანმანათლებლო  
პროგრამის ანონსი

„შედულება“

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: „შედულება“
  
- მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე: საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედულებაში / Secondary Vocational Qualification in Welding
  
- კვალიფიკაციის კოდი და დონე: 0715 მეოთხე დონე
  
- პროგრამის მიზანი  
პროგრამის მიზანია უზრუნველყოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება შედულებაში.
  
- დაშვების წინაპირობა
  - სრული ზოგადი განათლება;
  - „სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV -100/ა“, ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა.

➤ დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

შედულების საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ისეთ პროფესიებზე როგორცაა - შემდულებლები და აირმჭრელები, რომლებიც ადულებენ და ჭრიან ლითონის ნაწილებს აირის სანთურის, ელექტრორკალური ან სხვა გამაცხელებელი საშუალებების გამოყენებით, შესაბამისად დასაქმების შესაძლებლობებია შესაბამის ორგანიზაციებსა და სფეროში.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 25.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7212

➤ პროგრამის სტრუქტურა და მოდულები

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია შედულებაში მოიცავს 2 ზოგად მოდულს ჯამური 7 კრედიტის რაოდენობით. 9 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 32 კრედიტის რაოდენობით. 11 პროფესიულ მოდულს ჯამური 40 კრედიტის რაოდენობით. შედულებაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს 79 კრედიტი.

➤ მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. შეადულოს ლითონის ნაწილები აირის სანთურით, ელექტრორკალით, თერმული ნაერთებით ან სხვა მეთოდებით
2. გამოიყენოს სარჩილავი ტყვიის შემცველი ნაკეთობების (მილების, ზედაპირების და სხვა) შესაკეთებლად
3. შეაერთოს ლითონის ნაწილები მყარი კომპონენტით
4. დაჭრას ლითონი აირის სანთურის ან ელექტრორკალის გამოყენებით
5. შეაერთოს ლითონის ნაწილები ხელის სარჩილავით, რბილი კომპონენტით
6. შეარჩიოს თერმული მომზადების, მორგების, შედულების პროცესის რეჟიმი მასალის არასასურველი დეფორმაციის, გადახურების, გადაგრეხვის, შეკუმშვის, გაფართოების აცილების მიზნით
7. დაადგინოს დეფექტები და წუნები
8. შეამოწმოს შესრულებული სამუშაოების სიზუსტე სპეციფიკაციით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობაზე
9. უზრუნველყოს შედულების პროცესების ხარისხი
10. გამოიყენოს კომპიუტერული ტექნოლოგიები შედულების პროცესების სამართავად
11. გამოიყენოს და გადასცეს ტექნიკური ინფორმაცია
12. დაგეგმოს შედულების პროცესი.

➤ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება ა(ა)კ - სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ბაზაზე.